

პროგრამის სახელწოდება: თევზის კულტივირება (ლიფსიტების გამოყვანა-გამოზრდა)

პროგრამის სახე: პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: □ 3

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 13

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: საშუალოდ 12-15 სთ

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 171 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური -8 მაქსიმალური --10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: პირი, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს და ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება და სურვილი აქვს მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა-უნარები „თევზის კულტივირება (ლიფსიტების გამოყვანა-გამოზრდა)“ პროგრამაში და დასაქმდეს აღნიშნული სპეციალობით;

პროგრამის მიზანი:

პროგრამის „თევზის კულტივირება (ლიფსიტების გამოყვანა-გამოზრდა)“ მიზანია:

მსმენელმა შეძლოს უსაფრთხოდ თევზთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარება;
კერძოდ :

- თევზის კულტივირების მეთოდების აღწერა;
- კონტროლირებადი სატოფე გარემოს უზრუნველყოფა;
- მწარმოებლების შერჩევა კონტროლირებადი აღწარმოებისათვის;
- ქვირითის ხელოვნური განაყოფიერება;
- ქვირითის ინკუბირება;
- სიცოცხლისუნარიანი ლიფსიტების მიღება;
- კულტივირებადი თევზის მოზარდის მიღება.
- თევზსაშენი ურუნალის წარმოება.

აგრეთვე სპეციალობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, შრომის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა გაუწიოს მის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა თანამშრომელს. გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები, შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

თევზის კულტივირება (ლიფსიტების გამოყვანა-გამოზრდა) გადამზადების პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- თევზის კულტივირების მეთოდების აღწერა;
- კონტროლირებადი სატოფე გარემოს უზრუნველყოფა;
- მწარმოებლების შერჩევა კონტროლირებადი აღწარმოებისათვის;
- ქვირითის ხელოვნური განაყოფიერება;
- ქვირითის ინკუბირება;
- სიცოცხლისუნარიანი ლიფსიტების მიღება;
- კულტივირებადი თევზის მოზარდის მიღება.

თევზსაშენი უურნალის წარმოება

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროგრამა შემუშავებულია: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის #656 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: 80/ი 31.01.2019 წ.) „მეთევზეობა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 მაისის #41 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეთევზეობა“

პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული გადამზადების პროგრამაზე თევზის კულტივირება (ლიფსიტების გამოყვანა-გამოზრდა) სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც ფლობს გარკვეულ გამოცდილებას ამ სფეროში და სურვილი აქვს მოკლე დროში განივითაროს პრაქტიკული ცოდნა-უნარი მეთევზეობაში და გახდეს უფრო მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრი ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიული გადამზადების პროგრამაზე-„თევზის კულტივირება (ლიფსიტების გამოყვანა-გამოზრდა)“ სწავლა განხორციელდება მოდულური სწავლების მეთოდოლოგიით, სწავლება უზრუნველყოფილია დარგის პროფესიული მასწავლებლის მიერ.

პროგრამის ხანგრძლიობაა 13 კვირა, 171 საკონტაქტო საათის მოცულობით და კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვაა საშუალოდ 12-15 სთ.

სწავლების მეთოდებია: ლექცია/პრაქტიკული სავარჯიშო, დემონსტრირება. ხოლო შეფასების მეთოდებია: პრაქტიკული დავალება/პროდუქტი. დაკვირვებით; გამოკითხვა.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერთიფიკატს. პროფესიული პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულისათვის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. პროფესიული გადამზადების აღნიშნული პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.